ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 70 (19811) სამშაბათი, 24 მარტი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲡᲐᲯᲣᲚᲘ

ᲛᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ „სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულის“ ცნება თავისი შინაარსით მრავლის მომცველია და ამასთან, ცხადია, დიდად სპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობაა. იგი კანონის აღსრულებასთან, კანონიერების მტკიცედ დაცვასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, სახალხო მსაჯულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, ჩვენი მართლმსაჯულების განსორციელების საქმეში. სახალხო მსაჯულებს ხალხი ირჩევს და მშრომელთა ფართო მასებს იგი თავიანთ სრულუფლებიან წარმომადგენლად მიაჩნიათ იქ, სადაც კანონის მიხედვით წყდება საქმის ბედი, განისჯება ადამიანის ესა თუ ის მოქმედება, გვარდება ურთიერთობა საზოგადოებაში.

საბჭოთა კანონი განუსრულად იცავს სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესებს. ჩვენი ადამიანები კი კონსტიტუციით მინიჭებული ფართო უფლებებით იყენებენ მას, ნებაყოფლობით, შეგნებულად ასრულებენ თავიანთ სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობებს. ცხადია, კანონი და სასამართლო განუყოფელია ერთმანეთისაგან, სასამართლო კი ხალხის წარმომადგენლის — მსაჯულის გარეშე ვერ აღასრულებს კონსტიტუციურ უფლებამოსილებას. ყოველივე ეს კიდევ უფრო აცხოველებს ჩვენი საზოგადოების ინტერესს სახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების არჩევნებისადმი, რომლისთვის მზადება რესპუბლიკაში დაიწყო და აპრილ-მაისში გაიმართება. სახალხო მსაჯულთა არჩევნები უთუოდ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია ხალხის ნებასთან, მისი ინტერესებისა და მისწრაფებების გამოხატვასთან. ამიტომ სახალხო მსაჯულთა არჩევნები დიდ პასუხისმგებლობას და პრაქტიკულ სამუშაოს აკისრებს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რათა ეს კამპანია მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარდეს. სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულად უნდა ავირჩიოთ ყველაზე პატიოსანი, ღირსეული ადამიანები, ისეთები, ვინც დაინტერესებულია ჩვენი მართლმსაჯულების სიკეთით, კანონისა და კანონიერების მტკიცედ დაცვით და განსორციელებით.

პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მუშაობის მკვეთრი გარდაქმნა განუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან, პიროვნების უფლების დაცვასთან, კანონისადმი ჩვენი ადამიანების პატივისცემასთან და რწმენასთან. ცხადია, უდიდეს მოვალეობას ს და პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენი მართლმსაჯულების ორკანონება და საზოგადოებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“. ესა და პარტიის და მთავრობის სხვა სადირექტივო, სახელმძღვანელო მითითებანი მიზნად ის ახავენ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, მართლწესრიგის განმტკიცებას, სახელმწიფო საქმეებში სოციალისტური კანონიერების განხორციელებაში ხალხის ფართო მასების ჩაბმას, მათი აქტიურობის გაძლიერებას. სწორედ რომ ხალხის წარმომადგენელია სასამართლოში სახალხო მსაჯული, რომელსაც მეტად საპატიო მოვალეობა აკისრია მართლმსაჯულების აღსრულებაში და სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო სასამართლოთა მუშაობის პრაქტიკა და მისი ღრმა ანალიზი ცხადყოფს, რომ უდავოდ სახიკეთო გავლენას ახდენენ სახალხო მსაჯულები სახალხო სასამართლოების მთელ საქმიანობაზე, მათს გადაწყვეტილებებზე, კანონის ობიექტურად გამოყენებაზე, მოსახლეობაში იმ პროფილაქტიკურ-განმარტებითს მუშაობაზე, რომ ელსაც მართლმსაჯულების ორგანოები ეწევიან ჩვენში. ისიც აღსანიშნავია, რომ ბევრი საქმე, მრავალი განსახილველი ბედი სწორედ მთელი ობიექტურობით, კანონის შესაბამისად გადაწყვეტილა პრინციპული, მეოდნე სახალხო მსაჯულის აქტიურობით. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მსაჯულის ინსტიტუტი ვერ არის სათანადო დონეზე, არა აქვს ის ავტორიტეტი, რომელიც ხალხის რჩეულს უნდა ჰქონდეს. როგორც ამას წინად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, სახ ალხო მსაჯულებთან მუშაობა ჩვენს რესპუბლიკაში საქმიანარ სიტყ ;ებს ვერ იმსახურებს. ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრია ფორმალიზმი, პასიურობა, ისეთი დამოკიდებულება, რომელიც ხელს უშლის კ ანონიერების სრულად განხორციელებას. ყოველივე ეს, უფროდ, იმის ბრალიც უნდა იყოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო სასა ართლოები ნაკლებად იყენებენ სახალხო მსაჯულთა ფართო შესაძ �ებლობებს სასამართლო საქმიანობის შემდგომ სრულყოფაში, მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის გაზრდაში. ამის შე დეგია, რომ ხშირად უხეშად ირღვევა საქმეთა განხილვაში მსაჯულ თა მონაწილეობის ვადები და რიგითობა. სახალხო მსაჯულთა ერთ ა ნაწილს პროცესებზე იწვევენ ვადაზე მეტი ხნით, წყვეტენ მათ ძი რითად სამუშაოს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საერთო საქმეზ ; საწარმოო-დაწესებულებათა მუშაობაზე, საგანგო დავალებათა ა ოუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე. ყოველივე ეს კი იმას იწვევს, რომ ზოგიერთი სახალხო მსაჯული თავს არიდებს და სა ერთოდ არ მონაწილეობს სასამართლოს მუშაობაში. ერთი სიტყვით, საერთო საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებით უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 70-ე მუხლის მოთხოვნები. ამას ადასტურებს ასეთი უბრალო სტატ ისტიკა: ლენინგორის, საგარეჯოს, თბილისის 26 კომბინატის სახელ ობის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების ნახევარზე მეტს არჩევის დღიდან ერთხელაც კი არ მიუღიათ მონა წილეობა ამ სასამართლოთა მუშაობაში. სამწუხაროდ, ასეთი მოვ ლენები სხვა რეგიონებშიც გვხვდება.

მ რავალია იმის ფაქტი, როცა მსაჯულის მუშაობისათვის არ არის შექ მნილი ჯეროვანი პირობები, რის გამოც ისინი ვერ ასრულებენ აუ ცილებელ ნორმას — წინასწარ გაეცნონ განსახილველ მასალებს. ყო ველივე ეს და მსაჯულთა მუშაობაში სხვა ნაკლოვანებანი სახალ ხო მოსამართლეთა მიერ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის ბრ ალია გასწორეთ. ასეთი ზურგსქმა, მოქიცხველობის შესახებ ასეთ ი დეგად არც სახალხო მსაჯულები იჩენენ ინიციატივას, აქტიურობ ას. და ყოველივე ეს ნათლად ჩანს სასამართლო პროცესის დროს— სა ხალხო მსაჯულები სხედან მოსამართლის გვერდით, უსმენენ და ე რთ შეკითხვასაც კი ვერ მისცემენ განსახილველს. განა ასეთი მდგომ არეობა ნორმალურია? ეს იმის ნიშანია, რომ ადგილებზე სათა ნა დო დონეზე არ არის სამართლებრივი სწავლება, სახალხო მსა ჯ ელი არ ცდილობს გაიღრმავოს იურიდიული ცოდნა. ამ მხრივ დ ამაკმაყოფილებლად ვერ გამოიყურებიან გეგეჭკორის, ჩოხატაურ ის, თბილისის და ზოგიერთი სხვა რაიონის სახალხო სასამართ ლოები.

სახალხო მსაჯული ხალხის მიერ არის არჩეული და მოვალეა პე რიოდულად ანგარიში აბარებდეს მას. მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ს ახალხო სასამართლოთა სახალხო მსაჯულების მუშაობაში ასეთი პ რაქტიკა ნაკლებად არის დანერგილი. ჩვენი მსაჯულები იშვიათად ხ ვდებიან ამომრჩეველს, შრომითს კოლექტივებს, მოსახლეობას, ნ აკლებად აბარებენ ანგარიშს, არ აცნობენ, თუ რა მუშაობას ეწევი ან. აბა, რას უნდა მივაწეროთ ისეთი ფაქტი, როცა მთელი მარშან დელი წლის მანძილზე ქალაქ ფოთის, წულუკიძის, წითელწყაროს, ა ურჯანის, ზოგიერთი სხვა რაიონის და ქალაქის სახალხო სასა მართლოების სახალხო მსაჯულებს ერთხელაც კი არ ჩაუბარებიათ ა ნგარიში თავიანთი ამომრჩეველებისათვის, იმათთვის, ვინც მათ მანდატი მისცა — იყოს ხალხის წარმომადგენელი მართლმსაჯულე ბის ორგანოებში. ასეთი და სხვა ნაკლოვანებები აქვთ მუშაობაში ქ ალინინის, კასპის და სხვა რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების სახალ ხო მსაჯულთა მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ბევრი ნაკლი და ხარვეზი იმის შედეგია, რომ მათს საქმიანობას სათანადოდ ვერ წარმართავენ რესპუბლიკის იუსტიციის ორგანოები, ადგილობრივი საბჭ ოების აღმასკომები. მართლმსაჯულების ამ მნიშვნელოვანი რგ ოლის დასაწინაურებლად ეკოდენაან სახალხო სასამართლოები.

ახლა მთავარი და გადამწყვეტი ამოცანა ის არის, რომ ადგილობ რივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, შრომითმა კ ოლექტივებმა ყველაფერი იღონონ, რათა სახალხო მსაჯულებად არ ჩეულ იქნან ღირსეული ადამიანები, ისეთები, რომლებსაც საუ ალებ ; ექნებათ შეუფერებლად მიიღონ მონაწილეობა სასამართლო პრ ოცესებში, თავიანთი პრინციპული, ობიექტური მიდგომით, სიტყვით და საქმით ხელი შეუწყონ კანონიერი განაჩენებისა და განჩინებ ების გამოტანას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, მართ ლმსაჯულების ორგანოების წინაშე პარტიის მიერ დასახული ამო ცანების ხორცშესხმას.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

ᲑᲔᲭᲘᲗᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის დასახელებულია საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჭიათურის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების კოლექტივი. იგი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზე.

დაძაბული იყო ხუთწლედის პირველი წელი ჭიათურელი ტრანსპორტელებისათვის. აქ დაწყებულმა გარდაქმნამ გამოავლინა ვიწრო ადგილები, დაძაბულმა, თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. წლის მანძილზე გადაზიდულია 9.988.900 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და გადაყვანილია 24.820.700 მგზავრი. ეს გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტია. ტვირთბრუნვა გაიზარდა 1,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,8 პროცენტით.

გაერთიანების მშრომელებმა კიდევ უფრო დიდი მოჯნები დაიხახეს ხუთწლედის მეორე წლისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მეორე და მესამე ხარახნის შრომითი დიდების ორდენოსანი, მძღოლთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი თამაზ მამულაშვილი; გაერთიანების ავტომატარებლებს ტვირთავენ სილიკატური ხელით.

ა. მაჯავარიანის ფოტო (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲐ ᲒᲕᲘᲡᲛᲝᲑᲡ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ შრომის ნაყოფიერების მიღწევა გადაწყვიტეს 18 აპრილს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელებმა. ამ დღეს საწარმოს ბევრი ტექნოლოგიური ქვეგანაყოფი იმუშავებს წლის დამდეგიდან დაზოგილი სათბობითა და ელექტროენერგიით.

ლენინური კომუნისტური შაბათობა სერიოზული გამოცდა იქნება ავიამშენებლებისათვის დიდი

ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ მთლიანად ავანაზღაუროთ წლის დამდეგიდან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ჩამორჩენა, — ასეთია მთავარი მიზანი, რომელიც ზესტაფონის „საქკაბელის“ ქარხნის კოლექტივმა განსაზღვრა. იანვრის დამლევს წყალი შეიჭრა საწარმოს ტერიტორიაზე, დატბორა საამქროები. რამდენიმე დღით გაჩერდა წარმოება, სახელმწიფოს დაეკლდა მრავალი ათეული ათასი მანეთის პროდუქცია. მაგრამ მეკაბელეებს არ მოუთხოვიათ საგეგმო ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა კონკრეტულობასა და რეალობაზე. შესრულდება მათი ზოგიერთი პუნქტი. მაგალითად, კოლექტივი გამოუშვებს ათიათასობით მანეთის სახალხო მოხმარების საქონელს.

„წითელი შაბათობის“ დღეს აქტიურად იმუშავებენ ქარხნის მშენებლებიც. საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების, მათ შორის საწარმოს პროფილაქტორიუმის მშენებლობაზე ისინი ითვისებენ 10 ათას მანეთს.

მო დავალებების კორექტირება, არ მოუმზიზებიათ ობიექტური გარემოებანი. მათ პირობა დადეს, რომ აანაზღაურებდნენ ზარალს, და აი უკვე თითქმის ორი თვეა შრომობენ დაძაბული გრაფიკით, ბევრ უბანზე — ორ და სამ ცვლად.

შრომის დღესასწაულის დღეს ქარხნის კოლექტივი აპირებს თითქმის ერთ-ნახევარჯერ გადააჭარბოს ცვლის ნორმას, გამოუშვას 12 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ᲖᲕᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲠᲯᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის შექმნის შესახებ იმსჯელეს რესპუბლიკაში სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის მუდმივმქმედი კომისიის თბილისში გამართულ მორიგ სხდომაზე.

სხდომაზე, რომელსაც კომისიის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია თავმჯდომარეობდა, მოისმინეს ინფორმაცია ადგილებზე საქმის ვითარების შესახებ. ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა მ. მ. არდიამ. აღინიშნა, რომ რეგიონებში კვლავ დაძაბული სიტუაციაა. ზვავების მოსალოდნელი ჩამოწოლის ყველაზე საშიში კერებია კავკასიონის სამხრეთი ფერდობები. ამასთან დაკავშირებით უნდა დავაჩქაროთ სპეციალური ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის შექმნა, რომელიც შეიარაღებული იქნება თანამედროვე მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკით შემოწმებული ბრძოლის მეთოდებითა და ხერხებით. ახალმა სამსახურმა, რომლის არსენალში ტექნიკური საშუალებებიც შეავ, უნდა გადაწყვიტოს თავისი ამოცანები არა ცალმხრივი წესით, არამედ კომპლექსურად, გაითვალისწინოს გარემოს, თევზის მარაგის დაცვის პრობლემები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმოადგილემ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ა. ჩხეიძემ სხდომას აცნობა, თუ როგორ იყენებენ №700 ანგარიშზე გადარიცხულ სახსრებს. ამ ანგარიშზე უკვე გადარიცხულია 3·5,9 მილიონი მანეთი. ეს სახსრები ‘ მოხმარდება მხოლოდ და მხოლოდ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. უბედურების რაიონებში აღდგენითი სამუშაოები კი მხოლოდ სახელმწიფო რესურსების ხარჯზე წარმოებს.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი რესპუბლიკაში ფართო ფრონტით ხარციელდება. ორგანიზებულად წარმოებს ხალხის გადაყვანა დაზარალებული რაიონებიდან და ზვავსაშიში ზონებიდან უსაფრთხო ადგილებში. მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონებში უკვე დასახლდა სვანეთიდან ჩამოსული ათობით ოჯახი. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ახლა დღის წესრიგში წამოჭრილი ისეთი პრობლემა, როგორიც არის მთის მხარის დაცარიელების გამოკვეთილი ტენდენცია. ამიტომაც უაღრესად საჭიროა დავაჩქაროთ მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები, სარისკო სიტუაციებისაგან დავიცვათ მომავალში მცხოვრებლები.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მოსალოდნელი წყალდიდობისთვის მზადების საკითხები. მტკვრის, არაგვისა და სხვა მდინარეების ზემო წელში დიდძალი თოვლი დაგროვდა. წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად იმ ადგილებში, სადაც ყველაზე მეტი საშიშროებაა რომ მდინარეები ნაპირებს გადალახავენ, გასამაგრებელი სამუშაოები წარმოებს. ამოცანა ის არის, რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ ისინი, სამიდო ბეტონის არტახებში მოვაქციოთ მდინარეები.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ო. გ. ვარძელაშვილი, გ. დ. მგელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ზ. ა. ლაბახუა და ბ. დ. მახარაშვილი.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, (ხაკ. კორ.). რაიონის მეცხოველეები გულისყურით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მმართვას საბჭოთა ხალხისადმი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის აღნიშვნის შესახებ, გადაწყვეტეს ყოველდღიური გარჯა, ყოველი ნაბიჯი მოახმარონ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა სოფელ გუდამაყრის კოლმეურნეობის მოწინავე მწველადა ნ. წიკლაური. გადასინჯა რა წინათ ნაკისრი ვალდებულებანი, ძან პირობა დადო საშუალოდ 60 კილოგრამით გაზარდოს წლიური წველადობა. საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში პარტნიორს მბარი აუბეს სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა მ. მოთიაშვილმა და გ. ქავთარაძემ. საბოლოო ანგარიშით მოწინავის ინიციატივა მთელი რაიონის მშრომელთა სამოქმედო პროგრამად იქცა.

მეცხოველეებმა, რომლებიც შორეულ კასპიისპირეთში აზამთრებენ ცხვარს, გადაწყვიტეს წინათ ნაკისრი ვალდებულებით დასახული 90 ბატკნის ნაცვლად ყოველ ას ნერბზე მიიღონ და შეინარჩუნონ 93 ბატკანი, 3 კილოგრამით გაზარდონ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული თითოეული ცხვრის საშუალო წონა, ხოლო ბატყლის ნაპარსისა — 100 გრამით. ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელება მეცხოველეებს განზრახული აქვთ პირუტყვის მოვლის გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის გზით, კერძოდ, ბრიგადული და საოჯახო იჯარის, პირუტყვის გასუქების რაციონალური ორგანიზაციის, ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებით.

— პირველი შედეგები გვახარებს, — თქვა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ ი. ნაზღაიძემ. — სუსხიანი ზამთრის მიუხედავად ფერმებში წველადობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა, ხოლო პირუტყვის გაწყლობა, იძულებით დაკვლა და ჩაბარება შემცირდა. ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრებზე წარმატებით მიმდინარეობს დოლი და შარშანდელთან შედარებით ბატკნებსაც მეტს ველით. გრაფიკის გასწრებით შრომობენ გუდამაყრისა და ფასანაურის კოლმეურნეობების, ჭალთლისა და ბულაჩაურის საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეები, რომლებიც იღებენ მეტ და ჯანსაღ ბატკანს. დამკვრელური შრომის მაგალითს გვიჩვენებს რაიონის სახელოვანი სარქაული, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვლადიმერ წიკლაური, რომელიც ყოველ 100 ხერბზე ასი ბატკნის მიღებისათვის იღვწის.

ᲮᲝᲒᲚᲝᲗᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠ XXVII ყრილობის დელეგატი, სოციალისტური შრომის გმირი ქსენია კეკელაშვილი ჩაის პლანტაციებში ტრაილებს, იგი გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდს მარჯვედ იყენებს, ბუჩქებს მზრუნველობას არ აკლებს, იცის, ჩაი ასმაგად ანაზღაურებს გაწეულ შრომას. მან დროულად და აგროვადებში შეიტანა ფოსფორიანი სასუქები ნიადაგში, დაამუშავა მწკრივთაშორისები. ამჟამად აქ ბუჩქებს შპალერულად სხლავენ.

საჯიაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა აგრონომმა, ლენინის ორდენოსანმა ეორეი ბუკიამ თქვა: — ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატის ქ. კეკელაშვილის დალოცვილი მარჯვენის შემყურე ახალგაზრდებს შინ რა გაეჩერებთ, ერთსულოვნად გამოდიან სამუშაოდ და მთი დამრიგებლის მხარდამხარ მარჯვედ შრომობენ. ამიტომაც იყო, რომ შარშან უამინდობის ძნელ პირობებში კოლმეურნეობამ ხარისხოვანი ჩაის კრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, ამატა საშუალო მოსავლიანობამ, გაუმჯობესდა დამზადებული ნედლეულის ხარისხი. წლეულს კოლმეურნეობა 2 000 ტონაზე მეტ ნედლეულს მიიღებს, შარშან დამზადებულზე გაცილებით მეტს: მეჩაიეები გარჯას არ იშურებენ, რომ ბუჩქები დაამუშაონ აგროტექნოლოგიური ღონისძიებების სრული ციკლით. პლანტაციებში სამუშაოები მალე დასრულდება. ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს მომზადებული ვხვდებით.

ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲐᲢᲝᲜ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲐ

ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲡ მეფრინველეობის ჯიშთსანაშენე რეპროდუქტორს ჯერ არასდროს მიეღწევია ასეთი ჩანებული შედეგისათვის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში. კოლექტივის წარმატებული მუშაობის პირობა გახდა კომუნისტთა ინიციატივით ათვისებული შიდასამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა. სამეურნეო ანგარიში შეეხო თითოეულ მუშაკს — რიგითით დაწყებული და სპეციალისტებითა და ხელმძღვანელით დამთავრებული. იმატა ინიციატივამ, დამოუკიდებლობამ, შემოქმედებითმა მიდგომამ საქმისადმი. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რისი მეოხებითაც მარტო შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 14 მილიონ კვერცხზე მეტი — ეს ორი მილიონით აღემატება დაგეგმილს.

... რეპროდუქტორის დირექტორი კომუნისტი ა. წულაია და პარტბიუროს მდივანი ლ. გოგელია ჩვენ ოპერატიულ შტაბ „ბრუნვაში“ ვნახეთ. შტაბის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც პარტბიუროში შეისწავლეს მეცხოველეთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, რომლებიც ფერმებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებს ეხებოდა. ახლა ისინი პრაქტიკულად არ სცდებიან სხვადასხვა დამმარე სამუშაოებზე ძირითადის საზიანოდ. მაგალითად, იმისათვის, რომ დაიჭარონ დედლებისათვის საკენკის მიტანა, აღმოფხვრან უწესივრობა ან გამიწეწეონ ზოოტექნიკოსი, ბრიგადის წევრებს არ უხდებათ თავიანთი სამუშაო ადგილის მიტოვება. ამისათვის საკმარისია ტელეფონით დაუკავშირდნენ შტაბის მორიგე დისპეტჩერს და დახმარება ოპერატიულად მოვა.

— ეს სიახლე მხოლოდ ერთია იმ ღონისძიებათა კომპლექსიდან, რომელიც ჩვენ დავნერგეთ სამეურნეო ანგარიშის პირობებში შრომის შედეგიანობის გადიდების მიზნით — თქვა საქინფორმის კორესპონდენტებთან საუბარში ლ. გოგელიამ, — ოთხი წლის წინ მოზარდეულის უბანზე ზამოვაყალიბეთ პირველი სამეურნეო-ანგარიშიანი ბრიგადა. მას სათავეში ჩაუდგა თამაზ ფოჩხუა — ამჟამად დირექტორის მოადგილე. ეკონომიკურმა ექსპერიმენტმა უკვე ერთი წლის შემდეგ დაამტკიცა სიცოცხლის უფლება. საკმარისია ითქვას, რომ ბრიგადამ, რომელიც აქამდე ძლივს აღწევდა საშუალო მაჩვენებლებს, თითქმის ისი პროცენტით შეინარჩუნა მოზარდეული, თანაც 300 ტონა საკვები დაზოგა. ორი წლის შემდეგ ამ პროგრესულ ფორმაზე გადავიდა მთელი კოლექტივი.

სამეურნეო ანგარიშის უცილობელ უპირატესობაში თითოეული მშრომელი დარწმუნდა საკუთარი გამოცდილებით. აკიოღთო, თუნდაც, ხელფასი, რომელიც ერთობრად და მეტად გაიზარდა. მეურნეობას დიდმა მოგებამ შესაძლებლობა მისცა დაეჩქარებინა ტექნიკური განახლება, გაედიდებინა ანარიცხები სოციალური საჭიროებებისათვის. რაიონში და რესპუბლიკაში ბევრი ვერ დაიკვეხნის შრომისა და დასვენების ისეთ პირობებს, რომლებიც აქ შეიქმნა მოკლე ვადაში. მეცხოველეებს აქვთ თავიანთი საერთო საცხოვრებელი, სბავშვო ბაგა-ბაღი, ჯლუბი, სასადილო, სპორტული კომპლექსი... ადამიანთა ყოფისა და სოციალური საკითხებისადმი ყურადღება მნიშვნელოვანწილად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ მოდის აქ დიდი ხალისით ახალგაზრდობა, რომელიც ამჟამად მომუშავეთა 70 პროცენტს აღემატება.

— ადრინდელი პირობები რამდენადმე ბორკავდა ჩვენი მეურნეობის განვითარებას, მუშაკთა ინიციატივას, — ჩაება საუბარში ა. წულაია, — პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კარგ ეფექტიანობას ვაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობენ არა მარტო ცალკეული ქვეგანაყოფები, არამედ მთელი მეურნეობა. აბა, ეთქვათ, იგივე ზოოტექნიკოსი თუ ელექტრიკოსი, რომელსაც მტკიცე სარგო აქვს, რატომ შეიწუხებს თავს საიჯარო ბრიგადაზე ფიქრით. ჩვენთან კი სულ სხვაგვარად არის საქმე. ყოველი მუშაკი, დირექტორით დაწყებული და დამლაგებლით დამთავრებული, დაინტერესებულია უდიდესი საბოლოო შედეგით. ამიერიდან სამეურნეო ანგარიში აერთიანებს არა ცალკეულ ბრიგადებს, არამედ მთელ კოლექტივს, ხოლო კარგი მუშაობით მიღებული შემოსავალი ყველას უნაწილდება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კოლექტივის საქმიანობის კიდევ ერთი თავისებურება. ახალ პირობებში მუშაობამ დაამტკიცა, რომ მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, ადმინისტრაციას შეუძლიათ თავად წყვეტდნენ პასუხსაგებ ამოცანებს. სწორედ ამიტომ არ იგრძნობა აქ ზემოდან თავსმოხვეული წვრილმანი მეურვეობა, კოლექტივისა სჯერათ და ისიც ამართლებს ნდობას.

თუმცა, არის ცხაკაიას რაიონში სხვაგვარი მაგალითებიც. რეპროდუქტორის ბევრდით განლაგებულია ორი მეურნეობა, სოფელ ეკის კოლმეურნეობა და ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვება“. ორივეში საჯარო კოლექტივები, მაგრამ პირველის მშრომელები წლეულიწლობით უმატებენ წარმოების ზრდის ტემპს, ხოლო გამარჯვებელები, ნაცვლად ამისა, რომ გამარჯვებანი მოიპოვონ, ტაკბინაან ერთ ადგილს. აი, შარშანაც ჩაშალეს მათ რძისა და ხორცის წარმოების საგეგმო დავალება.

ასეთივე მდგომარეობაა რაიონის მთელ რიგ სხვა მეურნეობებში. აქ პარტიული ორგანიზაციები პასიურ პოზიციას ადგანან ბრიგადული იჯარის დანერგვის საკითხებში. შრომის ეს პროგრესული ფორმა სინამდვილეში გადაქცეულია პრიმიტიულ კოლექტიურ ნარდად მუშაობად და პროდუქციის მოპოვებად, რადაც უნდა დაუჯდეთ. არადა, წელს, მაგალითად, სერიოზული ცვლილებანია შეტანილი მატერიალური სტიმულირების სისტემაში. ბრიგადებსა და რგოლებს მოემატათ გასამჯელო უშუალო დანახარჯების დაზოგვისათვის, მაგრამ ბევრ მეურნეობამდე ამ წესმა ვერ მიაღწია როგორც რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკური სამსახური, ისე თვით მეურნეობების, მათი პარტიული კომიტეტების ინერტულობის გამო.

გადავაქციოთ ყოველი შრომითი კოლექტივი ჭეშმარიტ ბატონ-პატრონად — ასეთია დღევანდელობის მოთხოვნა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნა. და ეს ყველაზე უკეთ უნდა ახსოვდეთ სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთა მ

როგორც საკვებწარმოების პოლიგონი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეოთხე პლენუმი მთელი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან ერთად, შეეცადა რამეს ავალებს წითელწყაროს რაიონის მშრომელებს. არის იმის წინამძღვრები, პირობები, რომ ეს რაიონი გახდეს ინტენსიური საკვებწარმოების ინიციატორი, საყრდენ-საჩვენებელი ობიექტი. ამის საფუძველი იძლევა, ერთი მხრივ, ეორ-ტარიბანნა და, სამუშაოს ითასობით მექანიკა ყამირი მიწები, ოთხი, მეორე მხრივ, ის დიდი სამუშაოება, რომლებიც ხორციელდება ამ მიწების საირიგაციოდ.

პარტიის რაიკომის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ კონკრეტულად ამ საკითხს მიეძღვნა, საქმიანი მსჯელობა მქონდათ, თუ რა გზები, რა საშუალებები უნდა გამონახონ, რომ წითელწყაროს რაიონი ინტენსიური საკვებწარმოების ნამდვილი პოლიგონი იყოს, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს რაიონის პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის მეცადინეობა ამ პასუხსაგები როლის შესასრულებლად.

რაიონის აქტივმა სწორად აღიქვა და შეიგნო მეცხოველეობისა და საკვებწარმოების ინტენსიური განვითარებისათვის რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, მისი არსი, კონკრეტული მიზანდასახულობანი და წინადადებები, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოითქვა. პლენუმის გადაწყვეტილება საეტაპო, საპროგრამო დოკუმენტია ჩვენს შემდგომ მუშაობაში, 1987-1988 წლები მკვეთრი გარდატეხის წლები იქნება მისი განხორციელების გზაზე.

ჩვენმა რესპუბლიკამ, კერძოდ, წითელწყაროს რაიონმა, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მხრივ. რაიონის წილად საშუალოდ მოდის რესპუბლიკაში დამზადებული ხორცის 3 პროცენტი, რძისა — 5, მატყლის—7, მარცვლეულის—17, ყურძნისა — 13 პროცენტი და სხვ. მაგრამ ეს არ არის ზღვარი, შესაძლებლობები გაცილებით მეტი გვაქვს. ამიტომ დღეს რაიონის მშრომელები იმის ცდაში არიან, რომ ალალად მიჰყვნენ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახულ ინტენსიფიკაციის, დაჩქარების კურსს. შარშან, წინა წელთან შედარებით, ჩვენმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.357 ტონით მეტი რძე, 480 ტონით მეტი ხორცი, 4 მილიონ 441 ათასი ცალით მეტი კვერცხი, 17 ტონით მეტი მატყლი. ასეთი ტემპი, ასეთი ზრდა მომავალშიც არ შენელდება. ინტენსიური წარმოების რელსებზე იქნება გადაყვანილი მეურნეობის ყველა რგოლი.

საზოგადოებრივ მეურნეობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც უშუალოდ მოუხდებათ ინტენსიური საკვებწარმოების განვითარებაზე ფიქრი და ზრუნვა, გულდასმით განიხილეს ეს საკითხი, შეიმუშავეს და გამოიტანეს კონკრეტული გადაწყვეტილებანი, გამონახეს ახალი რეზერვები და საშუალებანი, რომ საკვებწარმოების სამსახურში ჩადგეს ყამირი და სარწყავი მიწები, საძოვრები, სავარგულები...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ყურადღება გამახვილა „ადგილებზე... ყველა მეურნეობაში შექმნა და ყალიბდება საკვებწარმოების სპეციალური ბრიგადები. ძირითადად კომპლექტდება ისინი კომუნისტებით, კომკავშირელებით. ისინი დემოკრატიული პრინციპებით ირჩევენ თავიანთ ხელმძღვანელებს, ბრიგადირსა თუ საქმის ალმრიცხველს, რომლებმაც უკეთ იციან თანამოსაქმის უნარი, სინდისი და პატიოსნება, სწორედ მათზე ბევრად იქნება დამოკიდებული კოლექტივის შრომა, შრომის შედეგი, ანაზღაურება, ბრიგადები იმუშავებენ მხოლოდ იჯარული წესით: პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელთა ყურადღებას მივაყრობთ იმას, რომ ფართოდ და დაჩქარებით დანერგონ შრომის სტიმულირების პროგრესული მეთოდები, შეიფასონ ისინი არა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის მოცულობას, არამედ აგრეთვე ხარისხს. თორემ რა გამოდის, საკვებმწარმოებელი იღებს სრულ ანაზღაურებას, საკვები კი ზოგჯერ სანახევროდ უხარისხოა, მისგან მიღებული პროდუქციაც შესაბამისად ნაკლებია, თვითღირებულება კი მაღალი.

„გარდაქმნის წარმატებას, — აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში, — გადამწყვეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწრაფად და ღრმად განმსჭვალეთ ჩვენი კადრები რევოლუციური ცვლილებების საჭიროების გაგებით...“

სწორედ ამიტომ თანამედროვე მოთხოვნათა დონეს უნდა შეეფუფარფოდ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის სტილი, მოვახდინოთ ძირეული გარდაქმნა ადამიანთა შეგნებაში იმ ვარაუდით, რომ ყველა თავის ადგილზე მუშაობდეს პატიოსნად, სრული დაბეერთვითა და უკეგებით.

ინტენსიური საკვებწარმოების დარგში განვაზოგადებთ და დანერგავთ სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მაგალითს, საკვებმოპოვების უგანრიგო ბრიგადის ბრიგადირის კომუნისტ უ. ლეკაშვილის მდიდარ გამოცდილებას. ბრიგადამ გასულ წელსაც, რთულ, გვალვიან პირობებში თითქმის წლინახევრის საკმარისი საკვები დაამზადა — ყოველ მსჯელობენ პირუტყვზე საშუალოდ 21 საკვები ერთეული. წარმატების მთავარ პირობად შეგვიძლია დავასახელოთ სამი რამ: მელიორაცია, შიდასამეურნეო ანგარიში, ანაზღაურება შრომის საბოლოო შედეგის მიხედვით, ანუ ბრიგადული იჯარის წესით მუშაობა . ეს პირობები, ეს შესაძლებლობანი რაიონის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას, ყველა ბრიგადასა თუ რგოლს აქვს, მაგრამ, მას მეტ-ნაკლებად იყენებენ, საჭიროა მხოლოდ მოწადინება, საქმის ერთგულება.

საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, აგრეთვე მეურნეობები, ბრიგადები, მათი ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობებს (ძირითადად მიწას, წყალს) და არ ნერგავენ მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, რაიკომის ბიურომ მკაცრად გაფრთხილა: შემდგომში უგერგილობა და უპასუხისმგებლობა აღარ ეპატიებათ.

მუშაობის შეფასების მთავარ ორიენტირად მიგვაჩნია ხარისხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოყვანილ მაგალითებზე, იმის შესახებ, თუ რა დიდ ზარალს განიცდიან მეურნეობები უხარისხო საკვების, უხარისხო პროდუქციის დამზადების გამო. ამას კი სათანადოდ არ აანალიზებენ და საჭირო დასკვნები არ გამოაქვთ აგროსამრეწველო გაერთიანების ეკონომიკურ სამსახურსა და დარგის სპეციალისტებს. დიახ, ხარისხი უნდა გახდეს შრომის შეფასების, ანაზღაურების ყველაზე განმსაზღვრელი ელემენტი.

ჩვენ რაიონში ბუნებრივ სათიბსაძოვრებს 100 ათას ჰექტარამდე ფართობი უკავია. მაგრამ როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის საძოვრები ნაკლებპროდუქტიულია, ბალახთდგომა სუსტია და მეჩხერი. ამ საქმეში კარგ ინიციატივას იჩენენ კომუნისტ სპეციალისტები, ექიმკიცური ნაკეთობათა და მექანიკური ქარხნების ტერიტორიიზე ორიოდე ხეს თუ ნახავთ, ეზო საწყობებად ქცეულა. სპორტულ მოედნებზე, სკვერებზე, დასასვენებელ ადგილებზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. არაერთხელ უსსჯელიათ ამ ქარხნების ქალაქგარეთ გატანისა და ახალი, თანამედროვე ტიპის საწარმოების აგების შესახებ, მაგრამ სამე ლაპარაკს კი არ გასცილებია. ჯერ პროექტებიც არ არის საბოლოოდ რედაქტირებული.

ᲐᲮᲐᲠᲘᲡ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმო კარგა ხანია ვეღარ ასრულებს სახელმწიფო გეგმას. განსაკუთრებით ჩამორჩება ხის დამუშავებელი და რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნები, ბათუმის საშენ მასალათა და ქობულეთის რაიონის სამრეწველო კომბინატები. მექანიკურმა ქარხანამ კარგად დაამთავრა გასული წელი, მაგრამ იყო თვეები, როცა ნედლეულის უქონლობისა და პროდუქციის ნომენკლატურის შეცვლის გამო გეგმებს ვერ ასრულებდა. ერთადერთი საწარმო, რომელიც უკეთ არის აღჭურვილი და შედარებით გამართულად მუშაობს, — ქიმიური ქარხანაა, მაგრამ ერთი ქარხანა, ცხადია, ვერ შექმნის სასურველ ამინდს. სამინისტროს შარშანდელი სახელმწიფო გეგმა მხოლოდ 97,6 პროცენტით შესრულა.

ხელმძღვანელობა შეიცვალა როგორც სამინისტროს აპარატში, ისე ზოგიერთ საწარმოში, მაგრამ მამორჩენა მაინც გრძელდება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა უფრო ღრმად ჩავწვდეთ ჩამორჩენის მიზეზებს და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ.

დანადგართა აბსოლუტური უმეტესობა ფიზიკურად და მორალურად მოძველებულია. 387 დანადგარიდან ორმოცე წელზე მეტია მუშაობს 91 დანადგარი, 30 წელზე მეტია — 99, ოც წელზე მეტია — 135. ნახავთ უფრო ხანდაზმულ დანადგარებსაც. ცხადია, ასეთი მოწყობილობით კარგი ხარისხის პროდუქციას ვერ დაამზადებ. პროდუქციის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სამკერვალო ნაწარმი, ქსოვილის გალანტერეა, ჩაის კონცეტრატები ძნელად საღდება. საწყობებში დაგრჩვდა ზენორმატიული ნაშთი. სამინისტროს ძველ საწარმოებში მუშებს ცუდი შრომის პირობები აქვთ. რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა ეტაპობრივ ეფექტითაც ხომ იგივე მექანიზაცია იყო გათვალისწინებული?

საკვირველი ის არის, რომ ახალი პროექტის „შემდგენლებმა“ არ გაითვალისწინეს სასადილო. გარა იარსებებს ქალაქგარეთ 300-კაციანი საწარმო თუ საკვები ბლოკი არ იქნა? გეგმით ახალ ქარხანაში უნდა გამოუშვან 240 ათასი მანეთის სუვენირები, მაგრამ საამისოდ სუვენირებისათვის პროექტში შესაბამისი უბანიც არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული საწარმო საექსპლოატაციოდ შარშან უნდა გადაეცემულიყო, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, როდის ამუშავდება და რა პროდუქციას გამოუშვებს იგი, ექნება თუ არა მას საჭირო რაოდენობის ნედლეული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო მექანიზმებით. დაგეგმილი 54 დანადგარიდან მიღებული აქვთ 33.

რამ გამოიწვია ასეთი შეუსაბამობა, ასეთი უხერხული მდგომარეობა? იქნებ აჯარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ან ოლქკომმა, თუ კვადრატულ მეტრ სასარგებლო ფართობზე ადრე დაგეგმილთან შედარებით როგორ უნდა გაზრდილიყო ორჯერ პროდუქციის წარმოება? მექანიზაციით? კი, მაგრამ წინა პროექტებზე ხომ იგივე მექანიზაცია იყო გათვალისწინებული?

საკვირველი ის არის, რომ ახალი პროექტის „შემდგენლებმა“ არ გაითვალისწინეს სასადილო. გარა იარსებებს ქალაქგარეთ 300-კაციანი საწარმო თუ საკვები ბლოკი არ იქნა? გეგმით ახალ ქარხანაში უნდა გამოუშვან 240 ათასი მანეთის სუვენირები, მაგრამ საამისოდ სუვენირებისათვის პროექტში შესაბამისი უბანიც არ არის გათვალისწინებული. აღნიშნული საწარმო ბოლოს მექანიზმების უქონლობისა და გაუმართაობის გამო ბათუმის საშენ მასალათა და ხელვაჩაურის წყრილი საკედლე ბლოკების საამქრო საკმარისი რაოდენობით ვერ უშვებს დაგეგმილ პროდუქციას, აჯარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო ითხოვს, შეუმცირონ მათ გეგმა, სამაგიეროდ გეგმა შესაბამისად გაუდიდეს ქიმიურ ქარხანას, რომელსაც გაცილებით მეტი პროდუქციის გამოშვება შეუძლია. უმჯობესია ამ საკითხების გადაწყვეტისას სახელმწიფო ინტერესებით ვიხელმძღვანელოთ, ისე ვიმოქმედოთ, როგორც საერთო საქმე მოითხოვს.

საქართველოში ყურძნის, ხილისა და ციტრუსის დამზადების სეზონში რესპუბლიკას სჭირდება ათობით მილიონი ყუთი. ხის ყუთების დასამზადებლად ნედგურდება ხე-ტყე. ამას ისიც ემატება, რომ ხის ყუთები ვერ იტანს ხანგრძლივ ექსპლოატაციას, ჭუჭყიანდება და არ ირეცხება. ბათუმის ქიმიურ ქარხანას შეუძლია პლასტმასის ყუთების გამოშვება. იგი ხანგამძლეც იქნება და ჰიგიენურიც. გარა დრო არ არის შეკუდგეთ ასეთი ყუთების დამზადებას?

რაკი ბათუმის ქიმიურ ქარხანაზე ჩამოვაგდეთ საუბარი, ურიგო არ იქნება, ორიოდე სიტყვა მის წარსულზეც ვთქვათ. ამ ათიოდე წლის წინათ იქ, სადაც ახლა ქარხნის კორპუსებია აღმართული, ყაზარმული ტიპის რამდენიმე დახავსებული შენობა იდგა, ეზო დაჭაობებული ორმოებით იყო დაფარული, ნედლეული და მასალები ცისქვეშ ეყარა. ქარხანაში ნამდვილი უთავბოლობა და [illegible] კითხობა სუფევდა. რამდენი კეთილი საქმის გაკეთება შეუძლია მონდომებას, საქმისადმი [illegible] დამოკიდებულებას, [illegible] რთო ფრონტით გაიშალა შრომელობა, ააგეს შესანიშნავი ადმინისტრაციული სახლი, კაპიტალური საამქროები, დაამნტოჟეს ახალი მანქანა-დანადგარები. კეთილმოაწყვეს ეზო-მიდამო, გაზარდეს პროდუქციის ნომენკლატურა და მისი გამოშვების მოცულობა, საწარმო მტკიცედ რომ დადგა ფეხზე, დირექტორმა შემდეგ სხვას გაუმართა ხელი. აბაშიძის ახალ დასახლებაში ქალაქს შეემატა სპორტული კომპლექსი, რომელმაც მთელი უბანი დაამშვენა. სამწუხაროდ, ქიმიკოსებს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სხვა საწარმოებმა ჯერჯერობით ვერ აუბეს მხარი. კარგი ორგანიზატორი სხვისი ხელის შემყურე კი არ არის, თავად ეძებს და აგნებს უკეთეს გზებს.

აჯარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში ბევრი რამ არის ასაშენებელი და გასაკეთებელი, საამისოდ სარემონტო-სამშენებლო უბანიც არის შექმნილი, მაგრამ რად გინდა ისეთი სამშენებლო ორგანიზაცია, რომელსაც არა აქვს მექანიზმები, არა აქვს სასაწყობო მეურნეობა, მძლავრ ბაზაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

ქობულეთში შენდება პარკეტის საამქრო, იგი შარშან უნდა გადაეცემულიყო საექსპლოატაციოდ, მაგრამ მის დამთავრებას ჯერაც არ უჩანს პირი. ძალიან ნელა მიმდინარეობს მექანიკური ქარხნის ტექნიკური რეკონსტრუქცია. როგორც ხედავთ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ძალიან ბევრია მოსაგვარებელი. დაგროვდა გადასაწყვეტი პრობლემები და მოუგვარებელი საქმეები.

ᲘᲕ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„კომკავშირელის“ ხაკ. კორ.

სხვისი მოიმედეობა არას გვარგებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1977 წლის 17 მაისს მიიღეს დადგენილება ბათუმში არსებული ხის დასამუშავებელი ქარხნის ქალაქგარეთ გატანის შესახებ. ადგილიც შეირჩა, დაიგეგმა ორსართულიანი კორპუსის აგება. ახალ ქარხანას უნდა გამოუშვა ავეჯი და სუვენირები. 1979 წელს ჩაიყარა საძირკველი. მშენებლობის დაწყებიდან 3 წლის შემდეგ საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მითითებით მშენებარე ქარხნის პროექტი რატომღაც გადაკეთდა. „გადაკეთება“ იმით გამოიხატა, რომ იოლი გზა გამოინახა — მოხსნეს შეორე სართული. ახალი პროექტით, ფართობის მოცულობის შემცირების მიუხედავად, , გაიზარდა გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა. ჰოდა, ვერავინ ამბობს, თუ კვადრატულ მეტრ სასარგებლო ფართობზე ადრე დაგეგმილთან შედარებით როგორ უნდა გაზრდილიყო ორჯერ პროდუქციის წარმოება? მექანიზაციით? კი, მაგრამ წინა პროექტი ამ საექსპლოატაციოდ შარშან უნდა გადაეცემულიყო, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, როდის აშუშავდება და რა პროდუქციას გამოუშვებს იგი, ექნება თუ არა მას საჭირო რაოდენობის ნედლეული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო მექანიზმებით. დაგეგმილი 54 დანადგარიდან მიღებული აქვთ 33.

რამ გამოიწვია ასეთი შეუსაბამობა, ასეთი უხერხული მდგომარეობა? იქნებ აჯარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ან ოლქკომმა, თუ კვადრატულ მეტრ სასარგებლო ფართობზე ადრე დაგეგმილთან შედარებით როგორ ორჯერ გაიზარდოს ეს ფაქტები ამ მეურნეობაში ასეთი ფაქტები ერთ-ერთ „ძმურად“ გაინაწილეს, მერე საბლებიც აიშენეს ზოგმა პროექტით, ზოგმა უპროექტოდ, ზოგმა გაყიდვაც კი მოასწრო და ახლა უკანონოდ აგებულ სახლებში სხვები ცხოვრობენ. მთლიანად მეურნეობაში უნებართვოდ მითვისებულია 9,89 ჰექტარი ფართობი, ხოლო უკანონოდ გაცემული ფართობები გაცილებით მეტია. სამწუხაროდ, მეურნეობაში ახლაც გრძელდება გზების გამონახვა როგორმე „ხელი შეუწყონ“ „სახლომანიით“ გატაცებულებს, და მიზანს კიდეც აღწევენ. ქალაქის საბჭოს აღმასკომში წარმოდგენილია მეურნეობის დირექტორის ბრძანებები მშობლების ოჯახებიდან ნაკვეთების გამოყოფის შესახებ. ერთი სიტყვით, მთელი ძალაუფლება დირექტორის ხელშია დ იგიც ყოველმხრივ იყენებს მას, მიმთითებელი კი არავინ ჰყავს. მიწის ნაკვეთებს ისე „ასაჩუქრებს“, როგორც საკუთარ თავასუქებს. საქალაქო საბჭოშიც არ აყოვნებენ მოქალაქეებს და სასწრაფოდ უბიძგებენ სასურველ პროექტს სახლის მშენებლობისათვის იმ ადგილებში, სადაც გენერალური გეგმით მრავალსართულიანი შენობების, ან საწარმოო ობიექტების მშენებლობაა გათვალისწინებული. საკითხავია, როდის მოელება ბოლო ამ დანაშაულებრივ მოქმედებას?

მარნეულის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობას 1985 წლიდან გამოეყო ყიზილაჯლოს საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორი რ. გუმბათოვი აშკარად დაადგა თავისი „განაყოფის“ გზას. მიწათსარგებლობის წესები აქ კვლავინდებურად ირღვევა. მივყავთ ფაქტებს:

მეურნეობაში და სასოფლო საბჭოში შემავალ სოფელ ჯანდარში მიწათსარგებლობის კანონის დაცვის საკითხი მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა გასული წლის მაისში. გამოვლინდა უხეში დარღვევები და დამახინჯებანი, გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ მას კაბიკის ფასიც არა აქვს, რადგან შესრულებაზე არავის უფიქრია, დარღვევები და დამახინჯებები კი კვლავაც გრძელდება — 31 მოქალაქეს სოფლის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებული აქვს 6,56 ჰექტარი ფართობი. მიწისადმი ხელგაშლილი დამოკიდებულების ფაქტები ამ მეურნეობაშიც საძეგარი როდია. თუმცა მეურნეობას საკარმიდამო ფონდი არ გაუჩინია, აქ ნაკვეთებს მაინც სისტემატურად არიგებენ. ეგრეთ წოდებულ „ძველ სოფელში“ ნაკვეთების ნაწილი გასცეს, ნაწილს კი მოქალაქეები თვითნებურად დაეუფლნენ. მაგალითად, მარნეულის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მძღოლმა ს. ალიევმა ისე შემოიღობა 0,40 ჰექტარი ფართობი და სახლიც დაიდგა, სანტაკა არავის უთქვამს. აქვე, 0,07 ჰექტარ ფართობს დაეპატრონა მეურნეობის ბრიგადირი გ. ფარიბოვი, რომელიც ამგვარ დანაშაულს თავად უნდა აღუდგეს წინ. ასეთი ფაქტები აქ ცოტა არ არის. ამავე სოფლის ოთხმა ოჯახმა საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“ (დირექტორი— ვ. დიდიძე) და კარიერების სამმართველოს (უფროსი — შ. ყურაშვილი) ტერიტორიაზე თვითნებურად შემოღობა ნაკვეთები და აგო საცხოვრებელი სახლები. არც მათთვის არავის შეუშლია ხელი. მაგრამ ფაქტია, რომ მათი ვინაობაც ვერ გვითხრეს ვერც ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმ ა, ვერც ყიზილაჯლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის მესვეურებმა. აი, ვის ხელშია სოფლის ბედი! თუმცა ეს ფაქტები კომენტარებს არ საჭიროებს.

კიდევ ერთი მავნე პრაქტიკის შესახებ. სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ჩაწერილია იგი თუ არა რაიონში, ხელაღებით გამოუყოფენ ხოლმე საკარმიდამო ნაკვეთებს. ერთ დროს ასე მოიქცნენ, მაგალითად, წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მითითების საფუძველზე საკარმიდამო ნაკვეთები გამოუყვეს სოფლის მეურნეობის იმ სპეციალისტებს, რომლებიც იმხანად რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციაში მუშაობდნენ და წერეთელში არ ცხოვრობდნენ, რითაც სწორედ მისი ხელშეწყობით ერთხელ კიდევ დაირღვა მიწათსარგებლობის წესები, ბმა ემატება ისიც, რომ ზნირად ასეთი პირები თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით ადვილად იშენებენ სახლებსაც, ხოლო შემდეგ სარფიანად ყიდიან. ასე მოიქცნენ, მაგალითად შრომის ეთერეთეების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ქერრეძე და ორჯონიკიძის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი ბ. ხარაძე, რომლებმაც სოფელ წერეთელში ააგეს სახლები, ხოლო შემდეგ გაყიდეს. მ. გელაშვილისა და გ. კვენიაშვილის სახლებს კი მუშტარი ისე აბვევია, როგორც თაფლს ფუტკარი. ესეც ხომ უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა? წერეთლის საბჭოთა მეურნეობის ყოფილმა მესვეურებმა, მათ შორის ყოფილმა დირექტორმა მ. შუბითიძემ, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ტაბატაძემ, რომელიც ახლა წერეთლის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია, ადგილობრივ მცხოვრებლებს იმის საშუალებას კი მისცეს სხვა რაიონებიდან და სოფლებიდან მოსული მოქალაქეებისთვის მიეყიდათ სახლები, რომლებთან ერთადაც, ცხადია, გაიყიდა მიწაც. ზოგი ასეთი უკანონო გზით შემოსახლებული ოჯახი სასოფლო საბჭოში წლობით ჩაუწერიავა და საკარმიდამო ნაკვეთის დიდ ნორმასაც ფლობს. ისინი სოფლის ყველა სიკეთით სარგებლობენ და მას კი არაფერში არგებენ. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა და რაიონის შინაგან საქმეთა გაყოფილებამ ახლა მაინც უნდა იზრუნონ ამ საქმეში წესრიგის დამყარებისათვის.

მიწათსარგებლობის წესების დარღვევის შესახებ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და სასოფლო საბჭოებში ყოველთვის არ იწერება ფაქტები და არ ეგზავნება შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებას, მაგრამ როცა იგზავნება, ამ განყოფილების მუშაკები მაშინაც არაფრად აგდებენ მას, არ იღებენ არავითარ ზომებს, საქმეს ყურადღებას ეჩვენებენ. რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა სამრეწველო კომიტეტმა ([illegible]) ამიტომ შარშან სთხოვა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაეკვლევინა მარნეულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებისათვის (უფროსი ა. ჯაფაროვი), რომ დაბმარებოდა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას მიწათსარგებლობის წესების დარღვევათა აღკვეთაში. მაგრამ აღნიშნულ საქმეში ეს [illegible] ([illegible]) ([illegible]) ([illegible])

ПРОБЛЕМА ДА ГАНСАჯА

КОМУНИСТИСა და საქმიწყრომის კორესპონდენტია ეუწოვნით ჩვენს მკითხველებს ესაუბრებიან:

...ბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ᲫᲛᲠᲓᲐᲜᲘᲐ

...ᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ

...ᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ დარგობრივი ...ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ დახლოებ...ᲒᲠᲐᲛᲐ მწვავედ დაისვა ...ᲙᲐᲖᲔ XXVII ყრილობაზე. სა...ᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲗ ᲬᲡᲚᲔᲚᲘᲡ ᲣᲜ...ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

...ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ...ᲡᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲘᲜᲘᲠᲒᲐ 50-ᲛᲓᲔ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲓᲘᲙᲐᲢᲝᲠᲘ. ᲐᲛ ᲗᲝᲗᲘᲠᲗᲝᲛᲔᲢᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲜᲘᲠᲒᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲝᲠᲗᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ 7 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲐ. ᲓᲐᲘᲜᲧᲝᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ 20 ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲘᲚᲘ. ᲐᲛᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲛᲘᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲐᲛᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡი ᲖᲝᲒᲘᲐᲠᲘᲗ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲥᲛᲔᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲛᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

...ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲒᲘᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲠᲐᲛ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ?

— ...ᲒᲐᲠᲒᲐᲓᲐᲛᲔᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲘᲒᲘ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲕᲔᲚᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲓᲕᲐ. ᲐᲠᲡᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲕᲐᲣᲛᲐᲧᲝᲤᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.

...ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲠᲕᲔᲜᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲛ?

— ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲣᲢᲐᲠ ᲘᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲛᲠᲔᲠᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲡᲘᲗᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ: ᲛᲠᲔᲠᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲭᲘᲓᲠᲝ ᲣᲠᲗᲘᲗᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

— **ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ?**

— ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲖᲔ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲪᲘᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲐ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲥᲛᲔᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲛᲨᲔ ᲠᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

— **ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ?**

— ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲐᲡᲘᲗᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

— **ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ?**

— ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲖᲔ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲪᲘᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

— **ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ?**

— ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡᲐᲖᲔ ᲛᲧᲐᲠᲘ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲪᲘᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ. ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲝ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲛᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ.

უკვდავი „დედაენით“ შთაგონებული

პროფესორ ვალერიან რამიშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო

იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობის სათუთად დამკვიდელი და პროპაგანდისტი, დაწყებითი სკოლის მოამაგე, ნორჩი თაობის გულის მესაიდუმლე და მეგობარი, პედაგოგთა თაობების აღმზრდელი და უბერებელი მოძღვარი, დედაენის სწავლების მეთოდიკის თავკაცი, ათობით სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს შემქმნელი, თვალსაჩინო მეცნიერი და სიკეთით სავსე ადამიანი — ასე იცნობენ ვალერიან რამიშვილს ჩვენში. მისი სახელი საყოველთაო სიყვარულითა და ღრმა პატივისცემითაა გარემოსილი.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენითაა“ შთაგონებული ვ. რამიშვილის სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები თუ გამოკვლევები. ვ. რამიშვილმა ი. გოგებაშვილის დიდაქტიკური პრინციპები შემოქმედებითად მიუსადაგა თანამედროვე ქართული სკოლის მოთხოვნებს და ამ პრინციპების შესატყვისად შეადგინა ახალი სახელმძღვანელოები ნორჩი თაობისათვის. ვ. რამიშვილი დღეს დიდი წინამორბედის პროგრესული დიდაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე თანამიმდევრული და ღირსეული მემკვიდრეა, შემქმედებითად რომ ავითარებს „დედაენის“ სახელოვან ტრადიციებს.

ვ. რამიშვილი დიდ ენერგიას ახმარს სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად დაწყებითი კლასების ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენას.

ღვაწლმოსილი სწავლული ავტორია 350-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და სტატიისა, რომლებიც დედაენის სწავლების თეორიისა და პრაქტიკის სისტემურ პრობლემებს ეძღვნება. მათ შორის ოთხმოცამდე ნაშრომი ცალკე წიგნადაა გამოცემული. მისი დაწყებითი კლასების ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, მონოგრაფიები ქართული ენის, ანბანის, პუნქტუაციისა და სწავლების საკითხებზე პედაგოგთა სამაგიდო წიგნებია. აქ განზოგადებულია ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის, დიდაქტიკის მიღწევები და სკოლის მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილება.

ვ. რამიშვილი არა მარტო პედაგოგი და მკვლევარია, არამედ უმაღლესი სკოლის მეცნიერების ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორიც. სამ ათეულ წელზე მეტია იგი თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსან სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სათავეში უდგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრას, რომელიც ამჟამად რესპუბლიკაში მეთოდიკური აზროვნების ერთ-ერთი წამყვანი კერაა. აქ ჩამოაყალიბა მან შემოქმედებითი კოლექტივი, რომლის წევრები, ვ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, ფართოდ მეცნიერულ-კვლევითს საქმიანობას ეწევიან, არიან სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორები და თანაავტორები, მეთოდიკურ დახმარებასა და კონსულტაციებს უწევენ სახალხო განათლების ორგანოებს, ქალაქებისა და სოფლების სკოლათა მასწავლებლებს, პედაგოგთა დასახმარებლად რეგულარულად აწყობენ გამსვლელ სამეცნიერო-მეთოდიკურ სესიებს რაიონებში. ვ. რამიშვილი ახალგაზრდობის გულისხმიერი მოძღვარი და მეგობარია. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი სპეციალისტი, მომზადდა ათობით საკანდიდატო დისერტაცია. თავისი უმწიკვლო შრომა-გარჯითა და რუდუნებით, საუკეთესო ადამიანური თვისებებით ამაგდარი მეცნიერი სამაგალითოთა ახალგაზრდობისათვის, ქმნის და ამაღლებს ჩვენი მეცნიერების პრესტიჟსა და ავტორიტეტს. მისი ღვაწლი ხალხის წინაშე ღირსეულად დაფასდა, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების და სკოლის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი, დაჯილდოებულია მთავრობის ორდენებითა და მედლებით, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლით, მრავალი სიგელით. სულ ახლახან იგი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვა.

წელთა სიმრავლის მიუხედავად დღესაც საშური ენერგიით, დაუღალავ განაგრძობს ძიებას. შეიმუშავა კათედრის საქმიანობის, ნორჩი თაობის აღზრდის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნის ფართო პროგრამა, მზარს უბამს ცხოვრების მიერ წონა პლანზე წამოწეულ სიახლეებს, ჩვენი დროის სიკეთის ჭეშმარიტი მახარობელი და მთესველია.

ალ. ღლონტი,
პროფესორი;
ო. ჟაჯაია,
დოცენტი.

მეცნიერება უძველესი და უახლესი

მეტეოროლოგია უძველეს მეცნიერებათა რიცხვს მიეკუთვნება. მის შესახებ პირველ ცნობებს ვხვდებით არისტოტელეს შრომებში, თუმცა მის განვითარებაში XIX საუკუნის დამდეგამდე მნიშვნელოვანი წინსვლა არ აღინიშნა. გასული საუკუნის დამდეგს სამრეწველო გადატრიალებამ ცხადყო, რომ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება ამინდის, კლიმატის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია. ეს გახდა მეტეოროლოგიის განვითარების მძლავრი ბიძგი. მეტეოროლოგიურმა მეცნიერებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია მეტეოროლოგიურ ელემენტებს შორის სივრცითი და დროებითი კავშირის დამყარება. ეს კი, საბოლოოდ, ამინდის პროგნოზირების შესაძლებლობას იძლეოდა.

როგორც ვხედავთ, ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში ამინდის ელემენტების სივრცითი განაწილების კანონზომიერების დადგენის გარეშე. მაგალითისათვის შეიძლება მივუთითოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკისთვის 3—5-დღიანი ამინდის პროგნოზის გამოთვლისათვის აუცილებელია საწყავ მომენტში ამინდის ელემენტების განაწილების ცოდნა დედამიწის მთელი ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ტერიტორიაზე როგორც მიწის პირზე, ისე ატმოსფეროში 9-10 კილომეტრის სიმაღლემდე. ამიტომ ოპერატიული მეტეოროლოგი ურიცხვ სამსახურის განვითარება წარმოუდგენელია იზოლირებულად, მხოლოდ სახელმწიფო საზღვრებში. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას მიეძღვნა 1873 წელს ვენაში გამართული მეტეოროლოგების პირველი მსოფლიო კონგრესი, სადაც დაფუძნდა საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია.

1950 წელს საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია. კონვენცია ამ ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ ძალაში შევიდა ამავე წლის 23 მარტს. 1961 წლიდან, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 23 მარტი აღინიშნება, როგორც მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღე.

ჰიდრომეტეოროლოგიურ კვლევას, ამინდზე დაკვირვებებს, მის კლიმატურ განზოგადებას დიდი ისტორია აქვს ჩვენში. ბევრ ძველ ქართულ ხელნაწერში ვხვდებით ამინდის მოვლენების მეცნიერულ ახსნას. საქართველოს ზუსტი კლიმატური დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბაგრატიონმა. თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, რომელიც 1844 წელს გაიხსნა, იმ პირველი ოთხი ობსერვატორიის რიცხვში შედის, რომლებიც რუსეთის იმპერიაში დაარსდა. ეს ობსერვატორია შემდგომში გეოფიზიკური და ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ცენტრი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. 1930 წელს ამ დაწესებულების ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამართველო — შემდგომში საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველო, 1953 წლიდან კი თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — ამჟამად ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

განსაკუთრებული ანომალიურობით ხასიათდება ამინდი ჩვენს რესპუბლიკაში წელს. არნახული ზარალი მოგვაყენა სტიქიურმა მოვლენებმა. სამწუხაროდ, არის მსხვერპლიც. მეტეოროლოგიური დაკვირვებები ჩვენთან უკვე 100-150 წელია მიმდინარეობს, მაგრამ წლევანდელ ზამთარს წორსულნი ანალოგი არ მოეძებნა. აფხაზეთში, სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ ოსეთში, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში თოვლის საფარის სიმაღლემ აქამდე რეგისტრირებულ ყოველგვარ ნიშნულებს გადააჭარბა. თითქმის ყველგან ჩამოწვა თოვლის კატასტროფული ზვავები. მათგან ბევრი იმ ადგილებში, სადაც ზვავი ადრე არასდროს ყოფილა. მართალია, ასეთი უხვნალექიანობა და დიდთოვლობა, ჩვენი დაკვირვებებით, ჯერ არ აღრიცხულა, მაგრამ ეფიქრობთ, რომ პირველი არ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ვიცით, სვანეთში ზვავებმა ბევრი საცხოვრებელი სახლი დაანგრია, მაგრამ პრაქტიკულად ყველა კოშკი გადარჩა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოშკებს სხვა ფუნქციებთან ერთად ზვავსაწინააღმდეგო დანიშნულებაც ჰქონიათ, ეს კი მიუთითებს, რომ დიდთოვლობა საქართველოს ისტორიულ წარსულში არაერთხელ ყოფილა.

ასევე ანალოგი არ მოეძებნება 31 იანვრის კატასტროფულ წყალდიდობას დასავლეთ საქართველოს მდინარეებზე. ჩვეულებრივ, საშიში წყალდიდობა საქართველოს მდინარეებზე ყოველთვის დაკავშირებულია თოვლის დნობასთან, რომელსაც თან ერთვის ძლიერი წვიმა. იანვარში კი მდინარეებზე წყალმცირობაა ხოლმე.

ამინდის ასეთ ძნელ პირობებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიდრომეტეოროლოგიურმა ცენტრმა. მისმა პროგნოსტიკულმა ქვედანაყოფებმა დროულად გაითვალისწინეს ყოველივე და გააფრთხილეს რესპუბლიკის სალიდერექტივო, დაინტერესებული სახალხო-სამეურნეო ორგანიზაციები და მოსახლეობა სტიქიის მოსალოდნელი შემოტევის შესახებ.

ჰიდრომეტცენტრის და საერთოდ ყველა პროგნოსტიკული ორგანოს ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებობდეს ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის გაცვლა მთელი პლანეტის მასშტაბით. ეს თანამშრომლობა იმის მაგალითად გამოდგება, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოთა ურთიერთობა. ასეთი ურთიერთკავშირი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მასში არ არის წაგებული მხარე. სწორედ ამიტომ მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ წლევანდელი წლის დევიზად აირჩია — „მეტეოროლოგია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობის მაგალითი“.

მ. არდია,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი.

გუშინ მთელ მსოფლიოში აღინიშნა მეტეოროლოგიის საერთაშორისო დღე

სურათზე: **მეტეოროლოგთა მორიგი სამუშაო დღე — ავტომატიზირებული გადაცემის სამსახურის ინჟინერ-პროგრამისტი მ. არაბიძე, ჰიდრომეტცენტრის მეტეოროლოგიური პროგნოზების განყოფილების უფროსის მოადგილე თ. დემურია და ჰიდრომეტცენტრის მთავარი ინჟინერი ჯ. დოლიძე ანალიზებენ მიღებულ ოპერატიულ მეტეოროლოგიურ ინფორმაციას.**

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

პოეტის ხმა — ოჯახში

ბავშვობაში ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო — ცოცხალი მწერალი მენახა და მისი ცოცხალი სიტყვა გამეგონა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაზე რომ გვესაუბრებოდა, გვიამბო, როგორ მოუსმინა ერთხელ პოეტს, რომელიც შთამბეჭდავად კითხულობდა ლექსს „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, სცადა კიდევაც მისებურად წაეკითხა და გასუსულები ვუსმენდით.

ნატვრა სიჭაბუკეში ამიხდა, როცა სწავლის გასაგრძელებლად თბილისს ვეწვიე.

გამოხდა ხანი და... ახლა თითქმის ყველა ქართველ პოეტს ვიცნობ, ზოგს ახლოს, ზოგსაც შორიდან. თუ ყველასთვის არა, უმრავლესობისათვის მომისმენია როგორ კითხულობდნენ და კითხულობენ საკუთარ ლექსებს.

ერთხელ პოეზიის საღამოზე არჩილ სულაკაურმა სთხოვა სიმონ ჩიქოვანს წაეკითხა რომელიმე ლექსი. პოეტმა უარი თქვა — დავბერდი, მე ალარ შემიძლია ლექსების კითხვა, თქვენ წაიკითხეთ, მე თქვენს მოსასმენად მოვედი.

არჩილი არ მოეშვა. მას სხვებმაც დაუჭირეს მხარი და...

არასოდეს დამავიწყდება ის დიდი სიამოვნება, რომელიც მაშინ განვიცადე, არ დამავიწყდება ის ტაში და ოვაცია, დარბაზში რომ ქუხდა. სამუდამოდ ჩამრჩა მეზსიერებაში სიმონ ჩიქოვანის უაღრესად თავისებური და საყვარელი ხმა.

ახლა, როცა ჩემს საყვარელ ლექსებს ვკითხულობ ხოლმე, მესმის პოეტის ნაცნობი ხმა, როგორ კითხულობს თავის ლექსს და უდიდეს სიამოვნებას განვიცდი.

ასე მესმის პოეტების ხმა, როცა აკაკის „განთიადს“ ვკითხულობ (რადიოს წყალობით), როცა გალაქტიონის „მე და ღამეს“ ვკითხულობ, როცა იოსებ გრიშაშვილის, იოსებ ნონეშვილის, გიორგი ლეონიძის ლექსებს ვკითხულობ...

და როცა თაროებთან მივალ ლექსების წიგნის გადმოსაღებად, კვლავ ამოტივტივდება ერთი აკვიატებული აზრი: ბოლოს და ბოლოს რა არის წიგნი?

წიგნი შემოქმედი ადამიანის ნააზრევის ხალხში გატანის, გავრცელების, გაქვეყნების საშუალება. ამ საშუალების გამოგონებიდან დღემდე საკმაოდ დიდი დროცალი გამოხდა. ბევრი რამ გამოიგონა ადამიანმა. დღეს გვაქვს თუ არა პოეტის სიტყვის (და არა მარტო პოეტის) ხალხში გატანის სხვა საშუალება?

რატომ არ უნდა გვქონდეს (წიგნების მსგავსად) თაროებზე შემოწყობილი მაგნიტოფონის ფირები („კასეტები“), რომელთა კოლოფებზე იქნება (მომღერალთა მსგავსად) პოეტთა პორტრეტები, ხოლო ფირზე იქნება ჩაწერილი ავტორისეული წაკითხული ლექსები, — ასეთი ჩანაწერებს საათობით მოვუსმენდით და განვიცდიდით დიდ სიამოვნებას.

რატომ არ შეიძლება ჩვენს პოეტებსაც მივცეთ საშუალება, თავიანთი შემოქმედებიდან თვითონვე შეარჩიონ მათთვის ყველაზე საყვარელი ლექსები, მივიწვიოთ სტუდიაში, წაკაითხოთ და ჩავიწეროთ, ასეთი ჩანაწერები გავამავლოთ, ვითარცა წიგნის ტირაჟები და წიგნის მაღაზიებში შევთავაზოთ მკითხველს.

დარწმუნებული ვარ, პოეზიის მოყვარული ჩვენი ახალგაზრდობა სიამოვნებით შეიძენს ასეთ ფირებს („კასეტებს“).

წარმოდგენილი მაქვს, საქართველოს შორეულ სოფლებში რა დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ასეთი ჩანაწერების მოსმენა ბავშვებს, ახალგაზრდობას და მოზრდილებსაც საკუთარ სახლში, მათთვის სასიამოვნო გარემოში.

ბოლოს და ბოლოს სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი შემოქმედების ნიმუშები ბავშვებს მომავალში მაინც ავტორისეული წაკითხვით რომ მოვასმენინოთ, უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე მასწავლებლის წაკითხული.

ჩემი აზრით სასურველია დრო და დრო ყველა პოეტის ფირი („კასეტა“) გამოვცეთ, ვისაც კი წიგნის გამოცემის ღირსად ვცნობთ.

ახლა ეს ვიკითხოთ — ძნელია ამ საქმის მოგვარება? ხმის ჩამწერი სტუდიები არ არსებობს თუ ფირი?

ჩემი აზრით, ალბათ, ისიც შეიძლება, რომ საქართველოს მწერალთა კავშირს საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდიაც ჰქონდეს, როგორც აქვს საკუთარი გამომცემლობა „მერანი“.

ის კი არა და, არც ვიდეოფირების გამოცემაზე ფიქრია ნაადრევი, ვიდრე ჩვენ ამ საქმეს თავს დავადგამთ, ვიდეოებიც ისე მომრავლდება ჩვენს მთასა და ბარში, როგორც ახლა ტელევიზორი და მაგნიტოფონები.

შთამომავლობა კი მადლობის მეტს არაფერს გვეტყვის საყვარელი პოეტის ხმისა და სახის ცოცხლად შემონახვისათვის.

ვ. ჩიკაურიშვილი.

იქნებ ღირდეს ამის მოგვარება

განაჩენი აღსრულებულია

ფულის გულისთვის რ. ასატურიანი თურმე არაფერს არ თაკილობდა, მზად იყო კაციც კი მოეკლა. როცა ტაქსის მძღოლმა არათუ არ ჩაუთვალა იმ დღის ნამუშევარი ფული, წინააღმდეგობაც კი გაუწია, მძარცველმა დაუნანებლად ესროლა, თანაც გამიზნულად — თავში.

ამ თვეში კიდევ ორჯერ გაძარცვა რ. ასატურიანმა თბილისის ტაქსის მძღოლები, თუმცა ამ შემთხვევებში, საბედნიეროდ, სისხლი არ დაღვრილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა მკვლელობისათვის რ. ასატურიანს მიესაჯა სასჯელის განსაკუთრებული ზომა. დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით მას შეწყალებაზე უარი ეთქვა.

განაჩენი აღსრულებულია.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირის მორიგი თანამგზავი „რადუგა“ სარეტრანსლაციო აპარატურითურთ, რომელიც უზრუნველყოფს სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირსა და სატელევიზიო პროგრამების გადაცემას. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი მართავს თანამგზავრს, თანამგზავრის კავშირის აპარატების ექსპლოატაცია დასახული პროგრამით განხორციელდება.

მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტში სამ დღეს მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის, სოციალისტური, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები. მათ განიხილეს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე თავისებურებანი.

აკადემიკოსებმა პ. ნ. ფედოსეევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ე. მ. პრიმაკოვმა მოხსენებებში, სხვა საბჭოთა და საზღვარგარეთელმა მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში გააანალიზეს ისტორიის ასპარეზიდან კაპიტალიზმის წასვლის პროცესის გამოვლინებანი. ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა წარუვალი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას თანამედროვე პირობებში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებათა კვლევისათვის.

დეპუტატები ვ. კუჭაძე და ს. მჭედლიძე ხაშურის რაიონის ერთ-ერთი უდიდესი სოფლის აღის სასოფლო საბჭოს ნაბახტვის მცხოვრებთ დეხმარნენ სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესებაში. ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისას, მათ რაიონის სამომხმარებლო კავშირის მხარდაჭერით მიაღწიეს იმას, რომ ააგეს ახალი „მრავალპროფილიანი“ მაღაზია. მასი პირველი მყიდველები იყვნენ არა მარტო თვით ნაბახტვეველები, არამედ აგრეთვე ახლომდებარე მეუნნეოთათა მეცხოველეები, მებოსტნეები და მექანიზატორები.

დამსურათებელია რუსეთიდან ფეტვიაშვილი

მხატვრული რუსთაველიანა ახალი ნაწარმოებებით შეიესო — რუსეთიდან ფეტვიაშვილის თვრამეტი ილუსტრაცია დაამშვენებს „ვეფხისტყაოსანის“ ახალ გამოცემას. პოემას, რომელიც ფრანგულად თარგმნა მწერალმა გასტონ ბუაჩიძემ, ერთობლივად უშვებენ სსრ კავშირისა და საფრანგეთის გამომცემლობები.

ფრანგმა სახვითი ხელოვნების მოყვარულებმა საზღვარგარეთ პირველმა ნახეს და შეაფასეს ნორჩი თბილელი მხატვრის შემოქმედება პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოეწყო პარიზში. ახლახან კი რუსეთიდანმა დაასურათა ქართული ზღაპრები საბჭოთა კავშირსაფრანგეთის ერთობლივი გამოცემისათვის, რომლებიც აგრეთვე გ. ბუაჩიძემ თარგმნა.

რ. ფეტვიაშვილი ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტია, მაგრამ მან უკვე მოასწრო ცხრა პერსონალური გამოფენის მოწყობა თბილისში. მოსკოვში, საფრანგეთში, ესპანეთში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. რ. ფეტვიაშვილის მომავალი პროფესიაა თეატრალურ-დეკორატიული ფერწერა, მაგრამ მას უკვე წიგნის დასურათების დიდი გამოცდილება აქვს. მან დაასურათა თბილისში გამოცემული არაბი და სპარსელი პოეტების წიგნები, ხაშურელი მოსწავლის ეკა ბაქრაძის ლექსების კრებული.

ამჟამად რუსუდანი თბილისის თოჯინების თეატრში მუშაობს კედლის მოხატვაზე, ემზადება ორი პერსონალური გამოფენისათვის. ერთი გაიმართება ქუთაისში, მეორე მომდინარე წლის სექტემბერში — ავსტრიაში.

(საქინფორმი).

ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲚᲬᲠᲓᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ

სულ ერთი რეისი

უფროსი ლეიტენანტი ა. ჩუხბა თავისი ხელქვეთეებისათვის ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო ვითარებაში ავტომობილისტთა უნარიან მოქმედებას. ამ ასეულის პირადი შემადგენლობა, რომელსაც იგი ამიერკავკასიის წითელდროშოვან სამხედრო ოლქში მეთაურობს, მზარს უსწორებს თავის მეთაურს, რომელმაც თავი გამოიჩინა ავღანელი ხალხისათვის ინტერნაციონალური დახმარების გაწევის დროს.

...მაღალი მთის ყინულაყისათვის ქონებითა და სურსათით დატვირთული კოლონა ხეობაში შევიდა, სადაც გზა მარყუჟს აკეთებდა. ეს ადგილი ძალზე მოსახერხებელი იყო მოულოდნელი თავდასხმისათვის. საჭირო იყო სწრაფად გავევლოთ საშიში უბანი. ა. ჩუხბამ, რომელიც კოლონას მეთაურობდა, ბრძანა სიჩქარისათვის მოემატებინათ, მაგრამ დუშმანებმა სროლა აუტეხეს მათ მიერ გადამწყვარი ყინულაყის ნანგრევებიდან.

გრანატმტყორცნის გასროლის შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა მეწინავე მანქანას. შეჩერებული კოლონა შეიძლებოდა ბანდიტებისათვის კარგი მიზანი გამხდარიყო, ამტომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაეგდოთ გზიდან დაზიანებული „კამაზი“. მისი მძღოლი მძიმედ დაიჭრა და უფროსი ლეიტენანტი თვითონ მიუჯდა საჭეს. გაცხარებულ სროლაში მან ცეცხლმოდებული მანქანა გზის ნაპირზე გადააყენა, დანარჩენებმა კი სიჩქარეს უმატეს და დაცვის საზენიტო ქვეგანყოფილების მხარდაჭერით წინ გასწიეს. როცა ალექსანდრე ჩუხბამ კოლონა სახიფათო ადგილიდან გაიყვანა, მისი მანქანა ავტომატის ტყვეებმა დაცხრილა. ტვირთი უდანაკარგოდ მიიტანეს დანიშნულების ადგილას.

ვაჟკაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის უფროსი ლეიტენანტი ა. ჩუხბა, რომლის ბიოგრაფიაშიც მრავალი ამგვარი ეპიზოდია, წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვეს. სამსახურის ახალ ადგილზე იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი გამოცდილება ახალგაზრდა მეომრებს გაუზიაროს, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიურად იყენებს საბჭოთა ინტერნაციონალისტი ჯარისკაცების ვაჟკაცობის მრავალ მაგალითს.

(საქინფორმი).

ᲭᲐᲑᲐᲮᲘ

როგორ ვიბრძოლეთ, რა მოვიპოვეთ?..

როგორც წესი, კვირის ბოლო დღეები უხვია სხვადასხვაგვარი შეჯიბრებებით. განვლილ კვირას უმთავრესად საკავშირო ჩემპიონატებზე გამართულმა მატჩებმა მიიპყრო სპორტის ქომაგთა ყურადღება და ახლა სწორედ ამაზე გესაუბრებით, თუ როგორ წარიმართა შეხვედრები...

საფეხბურთო მოედნებზე

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მესამე ტურის მატჩების შემდეგ გამოიკვეთა ერთპიროვნული ლიდერი. ეს არის მოსკოვის „სპარტაკი“, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატის მესამე მატჩი „ნეფთჩისთან“ მოუწია. სპარტაკელებმა „ნეფთჩი“ დაამარცხეს ანგარიშით 4:1 და ახლა გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზე არიან. ამ ტურის ბოლო ორი შეხვედრის შედეგები ასეთია: კიევის „დინამო“-„არარატი“ — 7:0, მოსკოვის „ტორპედო“-თბილისის „დინამო“ — 1:0. თავდაპირველად გადავხედოთ გათამაშების ცხრილს:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	3	0	0	9—2	6
ცსკა	2	1	0	5—2	5
„დინამო“ მ	2	1	0	3—1	5
„არარატი“	2	0	1	2—7	4
„დნეპრი“	1	2	0	6—1	4
„შახტორი“	1	2	0	2—1	4
„მეტალისტი“	1	1	1	2—2	3
„ტორპედო“	1	1	1	1—1	3
„დინამო“ კ	1	0	0	7—0	2
„ყაზგორისი“	0	2	1	2—3	2
„დინამო“ მნ	0	2	1	1—2	2
„გურია“	0	1	1	0—2	1
„ყაირათი“	0	1	2	0—3	1
„ნეფთჩი“	0	1	2	2—6	1
„ზენიტი“	0	1	2	2—8	1
„დინამო“ თბ	0	0	2	1—4	0

მოსკოვის „ტორპედოსა“ და საფრანგეთის „ბორდოს“ შორის თბილისში გამართულ მატჩს ცხადია, ჩვენმა დინამოელებმაც ყურადღებით ადევნეს თვალი. ეს მით უფრო საჭირო იყო, ვინაიდან თბილისელებს მორიგი საჩემპიონატო შეხვედრა სწორედ ტორპედოელებთან უწევდათ. ეტყობა, გარკვეული დასკვნებიც გამოიტანეს, რაც უწინარესად იმით გამოიხატა, რომ ამჯერად დინამოელები წინა მატჩთან შედარებით შეცვლილი შემადგენლობით მოგვევლინენ: გუნდის სხვადასხვა რგოლში გამოჩნდნენ მალანია, ჟორდანია და გოგორეკიანი. ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ ოპტიმალური შემადგენლობის ძიების პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და, როგორც ეტყობა კვლავაც გაგრძელდება. ჯერჯერობით ამ გადაადგილებებმა „დინამოს“ მხოლოდ ის მოუტანა, რომ ტორპედოელებთან მინიმალური ანგარიშით დათმო პოზიცია (73-ე წუთზე თბილისელთა კარში ბურთი გაიტანა ი. სავიჩევმა). თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ დღეს თბილისელებმა შეუპოვრად ითამაშეს. და მაინც, ახლა თბილისის დინამოელთა პერსპექტივებზე რაიმე გარკვეული აზრის გამოთქმა ერთობ ძნელია. ყველაზე საგანგაშოდ კი ის მიგვაჩნია, რომ „დინამო“ იძულებულია მხოლოდ 1 თავდასხმელით ითამაშოს. ცხადია, ეს კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული და რაც უფრო ადრე მოგვარდება ეს მტკივნეული საკითხი, მით უკეთესი. სხვა გზა არ არის, ჯერჯერობით ამ ფაქტის კონსტატაციას უნდა დავჯერდეთ...

რაც შეეხება ლანჩხუთის „გურიას“, მან გასულითი მატჩის კვალობაზე თავისი ლოკალური ამოცანა შეასრულა: „მეტალისტთან“ ფრედ (0:0) დაამთავრა შეხვედრა და პირველი ქულა მოიპოვა.

ასეა თუ ისე, თბილისის „დინამო“ მესამე ტურის შემდეგ 0 ქულით ბოლო ადგილზეა, „გურია“ კი 1 ქულით — მეთორმეტეზე.

კალათბურთის ფართან

თბილისსა და კიევსაში (გაიმართა ვაჟთა გუნდების საჩემპიონატო მედლებისათვის მებრძოლი გუნდების პირველი სუპერფინალური მატჩები. თბილისის „დინამომ“, რომელიც ლენინგრადის „სპარტაკთან“ ერთად ბრინჯაოს მედლებისათვის თამაშობს, პირველი მატჩი კარგად წარმართა და გაიმარჯვა ანგარიშით 78:73 (41:28). ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ლენინგრადში 26 მარტს.

პირველი ადგილისთვის იბრძვიან ცსკა და კიევსაის „ყალგირისი“. ამ გუნდების პირველი სუპერფინალური მატჩი გაიმართა კიევსაში და არმიელებმა იმარჯვეს — 92:81 (45:36). მათი განმეორებითი მატჩი გაიმართება მოსკოვში 24 მარტს, და თუ საჭირო გახდა, 25 მარტს გუნდები მესამე, გადამწყვეტ შეხვედრასაც მოსკოვში გამართავენ.

ხელბურთის სარბიელზე

სტარტი მიეცა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის საწყის ეტაპს. **თბილისის** სპორტის სასახლეში მოასპარეზე გუნდებს შორის პირველ დღეს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: კრასნოდარის ფეზკულტურის ინსტიტუტი-ქალაქ ტორასპოლის სპორტული კლუბი — 22:20 (13:15), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-თბილისის „ქართველი“ — 24:23 (11:10), ჩელიაბინსკის „პოლიოტი“-მინსკის ასკ — 28:28 (12:13). **ზაპოროჟიეს ჯგუფში** კი გამართული პირველი დღის მატჩებში ასეთი შედეგები აღინიშნა: კიევის ასკ-ლენინგრადის „ნევა“ — 30:23 (16:13), ცსკა-ასტრახანის „ზარია“ — 26:26 (14:14), ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი-კაუნასის „გრანიტასი“— 23:21 (12:11).

ლვოვისა და ბაქოს აუზებში

დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ეტაპის შეხვედრები. **ლვოვში,** სადაც თბილისის დინამოელები თამაშობდნენ, ჩვენმა სპორტსმენებმა ბოლო ორი შეხვედრა გამართეს. მაგალითად პირველი — მოსკოვის „მოსკვიჩთან“ დაამთავრეს ფრედ — 7:7, მეორე კი ალმა-ათის დინამოელებთან წაგებულ — 5:10.

პირველი წრის შემდეგ გუნდები სატურნირო ცხრილში ასეთი თანამიმდევრობით განლაგდნენ: მოსკოვის „დინ